

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

სადოქტორო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ მისაღები გამოცდის მოთხოვნები სპეციალობაში **აკადემიური გუნდის დირიჟორობა**

სპეციალობა = მაქსიმალური 100 ქულა - მინიმალური 91 ქულა
(100 = 50+30+20 შესაბამისად, 91 = 46+27+18)

1. საკონცერტო პროგრამის შესრულება **საკუთარ საგუნდო კოლექტივთან** = 50 ქულა. მინიმალური: 91-ის შემთხვევაში 50-დან - 46 ქულა;
(ქრონომეტრაჟი 40-45 წუთი, = არაუმცირეს 40 წთ.)

გაითვალისწინეთ!

თანხლებიანი ნაწარმოებები შეიძლება ჩართული იყოს მთელი დროის 1/4 -ით = მაქსიმუმ 10 წთ;

საკონცერტო პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგი ეპოქისა და სტილის ნაწარმოებებს: აღორძინება, ბაროკო, კლასიციზმი, რომანტიზმი, XX–XXI საუკუნის ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

2. გუნდთან მუშაობა = 30 ქულა.

მინიმალური: 91-ის შემთხვევაში 30-დან - 27 ქულა (45 წთ. კონსერვატორიის სასწავლო გუნდი; უცხო ნაწარმოები, რომელიც 1 საათით ადრე ეძლევა აპლიკანტს შესასწავლად).

3. დირიჟორობა ორ როიალთან = 20 ქულა

მინიმალური: 91-ის შემთხვევაში 20-დან - 18 ქულა

- დიდი ფორმა - საოპერო სცენა;
- საგუნდო პოლიფონია - ნაწილი კანტატიდან, ან ორატორიიდან, მესა/რეკვიემიდან;
- განვითარებული ფორმის 2 (ორი) a cappella ნაწარმოები შერეული გუნდისათვის

(დირიჟორობა - ზეპირად, a cappella ნაწარმოებების პარტიტურის დაკვრა - ნოტებით);

! აუცილებელია აპლიკანტმა წარმოადგინოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური დოკუმენტი/ცნობა იმის შესახებ, რომ ის ნამდვილად არის გამოცდაზე წარმოდგენილი საგუნდო კოლექტივის ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი/ დირიჟორი/ ქორმაისტერი. წინააღმდეგ შემთხვევაში აპლიკანტი გამოცდაზე არ დაიშვება.

! აპლიკანტის წარმოდგენილი საშემსრულებლო პროგრამა სპეციფიკიდან გამომდინარე გამოცდამდე უნდა დადასტურდეს მიმართულების ხელმძღვანელის მიერ (კონცერტი; დირიჟორობა 2 როიალთან - ქრონომეტრაჟი, პროგრამის სირთულის შესაბამისობა მისაღებ მოთხოვნებთან).